ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7293577

ნომერი: AR11066355

თარიღი : 15.11.2024

გაცემის თარიღი : 21.11.2024

გაცნობის თარიღი : 21.11.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების IV შესახვევი, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გიორგაძე პ/ნ 01008037871
- წყალტუბოს ქ.#24გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 15 ნოემბერს №AR11066355 განცხადებით მომართა ზურაბ გიორგაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებით, №01.10.18.009.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 5 დეკემბრის №6235872 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებულ +9.90 ნიშნულის გეგმაზე არსებული 177.93 კვ.მ. ფართობის (გადახურვის) ჩათვლა საზაფხულო ფართობში. შესაბამისად, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 89.7 კვ.მ-ის ნაცვლად 267.63 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 1343.66 კვ.მ-ის ნაცვლად 1521.59 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებით შეთანხმებულ ბრძანებასა და გეგმებზე დაფიქსირებული საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებლები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. შესაბამისად, შეთანხმებულ ბრძანებაში საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება.
რაც შეეხება, შეთანხმებული +9.90 ნიშნულის გეგმაზე არსებული ფართობის (გადახურვის) დამატებას საზაფხულო ფართობში, აღნიშნული არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.